

რეგიონული უნივერსიტეტების მისია და მიზნები - საქართველოში
არსებული რეგიონული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
სტრატეგიული განვითარების გეგმების ანალიზი

გაგა გვენეტაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე უმაღლესი განათლების
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება
უმაღლესი განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გაგა გვენეტაძე

06/07/2020

აბსტრაქტი

თანამედროვე ხედვის მიხედვით, უნივერსიტეტებმა, გარდა ტრადიციული ფუნქციებისა, რომელიც სწავლა - სწავლებასა და კვლევას გულისხმობს, მესამე მნიშვნელოვანი ფუნქციაც უნდა შეასრულოს და იზრუნოს რეგიონის/ქვეყნის განვითარებაზე და საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაზე, ეს პროცესი მესამე მისიის სახელით არის ცნობილი. საქართველოში მწირია იმ კვლევების რაოდენობა, რომლებიც რეგიონული უსდ-ების როლს აღწერს, როგორც რეგიონის სოცალური, კულტურული და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარ კონტრიბუტორს.

მოცემული კვლევა აჩვენებს, როგორ ხედავენ საჯარო რეგიონული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები თავიანთ როლს, როგორ აფასებენ ისინი რეგიონში საკუთარ კონტრიბუციას და რა დაბრკოლებებს ხედავენ ისინი მესამე მისიის განორციელების პროცესში. ნაშრომში, ყურადღება გამახვილებულია საქართველოში რეგიონული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმაზე, როგორც უნივერსიტეტის როლისა და ხედვის ფორმალურ განაცხადზე და ამ დოკუმენტების შექმნის პროცესთან დაკავშირებულ გამოწვევებზე. თვისებრივი კვლევის ფარგლებში შინაარსის ანალიზის მეთოდით არის დამუშავებული საქართველოს ექვს რეგიონში განთავსებული შვიდი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლო დაწესებულების პოლიტიკის დოკუმენტი და ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნები. კვლევა, ასევე, ეყრდნობა აღნიშნული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების პოლიტიკის შემუშავების მთავარ აქტორებთან სიღრმისეულ ინტერვიუებს.

კვლევის შედეგები საინტერესო იქნება მკვლევართათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან უნივერსიტეტის მესამე მისიის საკითხის შესწავლით და პრაქტიკოსებისთვის, რომლებიც უნივერსიტეტებისა და სისტემის დონეზე მუშაობენ მესამე მისიის განხორციელების მექანიზმების დახვეწაზე.

საკვანძო სიტყვები: რეგიონული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, ავტორიზაციის სტანდარტები, სტრატეგიული განვითარების გეგმა, უნივერსიტეტის მისია, მესამე მისია.

Abstract

According to the modern vision, universities, in addition to traditional functions, which include teaching/learning and research, should also perform the third important function and participate in regional/country's development and create public good. This process is known as the third mission. There are very few studies in Georgia describing the role of regional Higher Education Institutions as one of the main contributors to the region's social, cultural, and economic development.

This study shows how public regional higher education institutions see their role, how they assess their contribution to the region, and what obstacles they see in the process of carrying out the third mission. The paper also focuses on the mission and strategic development plan of regional higher education institutions in Georgia, as well as the formal application of the role and vision of the university and the challenges associated with the process of creating these documents. Within the framework of qualitative research, the policy document of the seven state higher education institutions located in six regions of Georgia and the conclusions of the authorization experts are processed by the method of content analysis. The study also relies on in-depth interviews with key actors in policy development at these higher education institutions.

The results of the study will be interesting for researchers who are interested in studying the issue of the third mission of the university and also for practitioners who work at the university and system level to refine the mechanisms for the implementation of the third mission.

Keywords: *Regional Higher Education Institutions, Authorization Standards, Strategic Development Plan, University Mission, Third Mission.*

მადლობა

უპირველეს ყოვლისა, ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ თამარ ბრეგვაძეს.

მადლობას ვუხდით რეგიონული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების რექტორებს, ვიცე-რექტორებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებს, რომლებმაც დამითმეს დრო ინტერვიუებისთვის და მონაწილეობა მიიღეს კვლევაში.

მადლობა ჩემი ოჯახის წევრებსა და მეგობრებს კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნისა და მხარდაჭერისთვის. განსაკუთრებით, თორნიკე ბაქაქურსა და ნინო გულიაშვილს, რომლებიც, მუდმივად მზად იყვნენ რეკომენდაციებისა და შენიშვნებისთვის, რაც დამეხმარა ნაშრომის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში.